

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავალი თამაშობებიდან	10
6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.....	11
7. კომერციული ხარჯი	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	11
9. ფინანსური ხარჯი.....	11
10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	12
11. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	12
12. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12
13. ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	12
14. ძირითადი საშუალებები	13
15. არამატერიალური აქტივები	14
16. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	14
17. წინასწარ გაწეული ხარჯები	14
18. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	14
19. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
20. კაპიტალი.....	14
21. მიღებული სესხები	15
22. საგადასახადო ვალდებულებები	15
23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
24. პირობითი ვალდებულებები	16
25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	16
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს მოცემულია გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომზადებული მოსაზრების მოდიფიცირების საფუძველში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება 2,391 ათასი ლარი საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სისწორეში დასარწმუნებლად ისევე როგორც 2018 წლის განმავლობაში შეფასებით გზით აღიარებულ ძირითად საშუალებებზე ღირებულებით 266 ათასი ლარი. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში ვერ დასრულდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი. ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 187 ათას ლარს. ჩვენი მოსაზრება რჩება ისევე მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში. ჩვენი დასკვნა ასევე იყო მოდიფიცირებული იგივე მიზეზით 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ მარაგებთან მიმართებაში.

სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით 2019 და 2018 წელს გაცემულია დივიდენდები შესაბამისად 2,632 ათასი და 5,956 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წელს საწესდებო კაპიტალი შემცირებულია 433 ათასი ლარით, 2018 წელს კი გაზრდილია 500 ათასი ლარით. ჩვენ ვერ დავადასტურეთ პირველადი დოკუმენტებით დივიდენდების გამოცხადების და კაპიტალის გაზრდა/შემცირებასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის სისწორე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ან ანგარიშგებაში წარდგენილ გამოცხადებულ და გაცემულ დივიდენდებთან მიმართებაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქონდა მოთხოვნა გაცემული სესხიდან 4,600 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხი ექვემდებარებოდა გაუფასურებაზე შეფასებას მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მენეჯმენტის შეფასებით სესხი არ არის გაუფასურებული და მოსალოდნელია მომავალში თანხის შემოსვლა კომპანიაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რომ დავრწმუნებულიყავით სჭირდებოდა თუ არა კორექტირება წარდგენილ გაცემულ სესხს 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურობინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით, მენეჯმენტი გეგმავდა გამოყენებინა სტანდარტით დადგენილი ნებაყოფლობითი გამონაკლისი და მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ძირითადი საშუალებების ღირებულებად აედო რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, მას შემდეგ რაც დასრულდებოდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგების სრულად ასახვა. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში ვერ დასრულდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი. ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,992 ათას ლარს, ხოლო 2019 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა კი 1,039 ათას ლარს (2018 - 681 ათას ლარს). აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი პირობითი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში (ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა), პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო კომპანიას შეჩერებული აქვს საქმიანობის უფლება გაურკვეველი ვადით. დღესდღეობით შეუძლებელია იმის პროგნოზირება თუ როდის დართავენ კომპანიას უფლებას საქმიანობის გაგრძელებისთვის. კრიზისულ პერიოდში მომზადდა ბიუჯეტი არსებითად შეკვეცილი ხარჯებით და ხდება ფულადი სახსრების მუდმივი დაგეგმვა რათა უზრუნველყოფილი იყოს არსებული ვალდებულებების დროული გასტუმრება და მზაობა რომ კომპანიამ დაიწყოს ფუნქციონირება შეზღუდვების მოხსნისთანავე. ეს მოვლენები და პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ

არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს "ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების" სახელით (რეგ. #SARAS-A-629166)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ. #SARAS-A-629166)

28 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს “ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

28 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი თამაშობებიდან	5	27,839	36,917
სხვა საოპერაციო შემოსავალი		235	112
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(10,224)	(15,436)
საერთო მოგება		17,850	21,593
კომერციული ხარჯი	7	(5,966)	(7,157)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(8,643)	(9,884)
საოპერაციო მოგება		3,241	4,552
ფინანსური ხარჯი	9	(765)	(590)
ფინანსური შემოსავალი		373	350
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	10	(389)	(24)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	11	275	270
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12	(184)	(49)
მოგება დაბეგვრამდე		2,551	4,509
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		2,551	4,509
შეწყვეტილი ოპერაციები:			
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	13	(240)	-
წლის სრული მოგება		2,311	4,509

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


 ანასტასია თოგურიძე
 დირექტორი


 არმან ჯინკველაშვილი
 ფინანსური დირექტორი

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი თამაშობებიდან	5	27,839	36,917
სხვა საოპერაციო შემოსავალი		235	112
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(10,224)	(15,436)
საერთო მოგება		17,850	21,593
კომერციული ხარჯი	7	(5,966)	(7,157)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(8,643)	(9,884)
საოპერაციო მოგება		3,241	4,552
ფინანსური ხარჯი	9	(765)	(590)
ფინანსური შემოსავალი		373	350
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	10	(389)	(24)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	11	275	270
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12	(184)	(49)
მოგება დაბეგვრამდე		2,551	4,509
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		2,551	4,509
შეწყვეტილი ოპერაციები:			
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	13	(240)	-
წლის სრული მოგება		2,311	4,509

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	5,946	4,988
არამატერიალური აქტივები	15	1,180	1,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,126	6,388
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16	199	248
წინასწარ გაწეული ხარჯები	17	1,268	1,424
გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	18	4,948	5,844
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	1,143	1,212
სულ მიმდინარე აქტივები		7,558	8,728
სულ აქტივები		14,684	15,116
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	69	502
გაუნაწილებელი მოგება	20	1,922	2,032
სულ კაპიტალი		1,991	2,534
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხი	21	8,324	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,324	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	22	356	622
გადასახდელი დივიდენდები	20	11	222
მოკლევადიანი სესხები	21	984	6,561
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23	3,018	5,177
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,369	12,582
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,684	15,116

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	2	2,973	2,975
კაპიტალის ზრდა	500	-	500
გამოცხადებული დივიდენდები	-	(5,450)	(5,450)
წლის სრული შემოსავალი	-	4,509	4,509
31 დეკემბერი 2018	502	2,032	2,534
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 20)	(433)	-	(433)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,421)	(2,421)
წლის სრული შემოსავალი	-	2,311	2,311
31 დეკემბერი 2019	69	1,922	1,991

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	2,311	4,509
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	937	717
საპროცენტო შემოსავალი	(373)	(350)
საპროცენტო ხარჯი	765	590
მოგება ვალის პატიებიდან	257	-
საკურსო სხვაობების ეფექტი	389	24
მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	4,286	5,490
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	49	34
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	1,187	(22)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	156	529
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(266)	303
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(2,445)	2,265
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	2,967	8,599
გადახდილი პროცენტი	(765)	(590)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,202	8,009
საინვესტიციო აქტივობები		
საწესდებო კაპიტალის (შემცირება)/ზრდა	(433)	500
გაცემული სესხის დაფარვა	378	-
მიღებული პროცენტი	7	5
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,675)	(2,259)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,722)	(1,754)
ფინანსური აქტივობები		
მიღებული სესხი	9,379	2,583
დაფარული სესხი	(7,247)	(3,095)
გადახდილი დივიდენდი	(2,632)	(5,955)
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(500)	(6,467)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(21)	(212)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	1,212	1,438
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(48)	(14)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,143	1,212

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2015 წლის 9 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404497273.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. კომპანიაში 2019 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 605 თანამშრომელი (2018 - 613). კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურაძე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს იურიდიულ მისამართზე, ხოლო საქმიანობის ადგილებია თბილისში არსებული ორი ფილიალი სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ სხვადასხვა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სერვისების მიღება როგორცაა სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი, ვირტუალური თამაშები, სტად პოკერი და კენო. კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი გენერირდება სათამაშო აპარატებიდან.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა კომპანიის მეწილეების სტრუქტურა და მათ მფლობელობაში არსებული წილები: 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 12 თებერვლამდე კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო თენგიზ ფერაძე. 2018 წლის 12 თებერვლიდან 2019 წლის 28 მარტამდე კომპანიის მეწილეები იყვნენ:

1. თენგიზ ფერაძე - 50.00%
2. თეიმურაზ უგულავა - 50.00%

2019 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 5 აპრილამდე კომპანიის მეწილეები იყვნენ:

1. თენგიზ ფერაძე - 50.00%
2. ივანე თარხნიშვილი - 50.00%

2019 წლის 5 აპრილიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე კომპანიის 100% წილის მფლობელია ივანე თარხნიშვილი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ გარდა სტანდარტზე გადასვლის თარიღში ძირითადი საშუალებების აღიარებისა სადაც კომპანია გეგმავს გამოიყენოს დაშვებული გამოწვევის და ძირითადი საშუალებები წარადგინოს ნაგულისხმევი ღირებულებით სტანდარტზე გადასვლის თარიღით. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ამ ცვლილების ასახვა გადაიდო მომავალი წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაშია მოცემული, COVID 19-მა პირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანახმეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019	წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნაღებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ელექტრო მოწყობილობები	3-10
სათამაშო აპარატები	10-15
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	1-5 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების

ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც

წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუროს სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს კომპანიის დარბაზებში განთავსებული სლოტ აპარატები. ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით აპარატებში ჩარიცხული თანხა შემცირებულია გაცემული მოგებით. კომპანია არ სთავაზობს მომხმარებელს საბონუსო პროგრამებს და აქციებს. შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი მიიღებს მომსახურებას და დადგება შედეგი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაშია მოცემული COVID 19-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა პირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე. აღნიშნული წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას და მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე შეაფასა თუ რამდენად მართებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

2020 წლის 21 მარტიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეიზღუდა მთელი რიგი სამეწარმეო საქმიანობები სადაც მაღალი იყო ვირუსის გავრცელების რისკი. ასეთი საქმიანობებში მოხვდა ასევე კომპანია. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში შეზღუდვები ისევ ძალაშია და კომპანიას იძულებით აქვს შეჩერებული სამეწარმეო საქმიანობა.

კრიზისის დაწყებისთანავე მენეჯმენტმა მოამზადა განახლებული არსებითად შემცირებული ბიუჯეტი და ფულადი ნაკადების პროგნოზი, კომპანიის ფულადი ნაკადების დაგეგმვა მოხდა 2020 წლის ბოლომდე იმ დაშვებით რომ მომავალი წლიდან კომპანიას ექნება საქმიანობის გაგრძელების საშუალება. კომპანიას ასევე შეექმნა პრობლემები გრელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილის გასტუმრებაში. ბანკთან აქტიური კომუნიკაციით ხდება სესხის გადახდის გადავადებაზე შეთანხმება პერიოდულად მანამდე სანამ არ მოხდება სიტუაციის დასტაბილურება.

კომპანიის მეწილე მზადყოფნას გამოთქვამს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს კომპანიას რომ შემდგომ კრიზისულ პერიოდში ლიკვიდურობის შენარჩუნება და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნამდე. არსებული ფაქტიური და მოსალოდნელი შედეგების და კომპანიის მეწილის მხრიდან მოსალოდნელი მხარდაჭერის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება მართებულია კომპანიისთვის.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი თამაშობებიდან

	2019	2018
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	27,815	33,616
წმინდა შემოსავლები სტად პოკერიდან	24	-
წმინდა შემოსავალი ტოტალიზატორიდან	-	481
წმინდა შემოსავალი ვირტუალური თამაშობებიდან	-	85
წმინდა შემოსავლები კენოდან	-	57
წმინდა შემოსავლები სამორინიდან	-	2,678
სულ	27,839	36,917

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ შეაჩერა საქმიანობის რამდენიმე მიმართულება (შენიშვნა 13).

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2019	2018
მოსაკრებლის ხარჯი	(5,628)	(7,933)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(2,163)	(4,188)
სანებართვო ხარჯები	(2,031)	(3,138)
ცვეთა და ამორტიზაცია	(402)	(177)
სულ	(10,224)	(15,436)

7. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
საიჯარო ხარჯები	(4,186)	(5,138)
წამახალისებელი გათამაშების ხარჯები	(1,075)	(941)
მომხმარებელთა კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები	(548)	(621)
სარეკლამო ხარჯი	(53)	(91)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15)	(22)
სხვა ხარჯები	(89)	(344)
სულ	(5,966)	(7,157)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	(5,968)	(6,712)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(981)	(1,170)
ცვეთა და ამორტიზაცია	(520)	(518)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(251)	(168)
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	(183)	(253)
საიჯარო ხარჯები	(149)	(271)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(126)	(73)
საექსპლოატაციო ხარჯები	(111)	(288)
ბანკის ხარჯები	(98)	(81)
აუდიტორული და საკონსულტაციო ხარჯები	(74)	(34)
საწვავის ხარჯები	(22)	(41)
სხვა ხარჯები	(160)	(275)
სულ	(8,643)	(9,884)

9. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი უცხოურ ვალუტაში მიღებულ დაფინანსებაზე	(729)	(568)
საპროცენტო ხარჯი ლარში მიღებულ დაფინანსებაზე	(36)	(22)
სულ	(765)	(590)

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

სავალუტო ოპერაციებიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი) შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	306	143
ფული და ფულის ეკვივალენტები	(48)	(14)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(32)	(11)
სასესხო ვალდებულებები	(615)	(142)
სულ	(389)	(24)

11. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა

2019 წელს გაფორმდა შეთანხმება პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარ მომწოდებელთან შპს ამატიკ ჯორჯიასთან. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად უპირობოდ შემცირდა კომპანიის სავაჭრო ვალდებულება 266 ლარით რაც აღიარდა მიმდინარე პერიოდის შემოსულობად.

2018 წელს კომპანიაში ჩატარდა ინვენტარიზაცია. აღმოჩენილი იქნა გარკვეული რაოდენობის ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ იყო აღრიცხული ბუღალტრულ ბაზაში. კომპანიამ მოახდინა აღრიცხვა ძირითადი საშუალებების აღიარება სამართლიანი ღირებულებით 266 ლარის მოცულობით.

12. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
დარიცხული საურავი	(165)	(47)
სხვა	(19)	(2)
სულ	(184)	(49)

13. ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან

2019 წელს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით კომპანიამ ბათუმის ფილიალში შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა. გარდა ამისა 2019 წლის განმავლობაში გლდანისა და საბურთალოს ფილიალებში შეწყვიტა ტოტალიზატორის, ვირტუალური თამაშობებისა და კენოს ფუნქციონირება. შეწყვეტილი ოპერაციების 2019 წლის ეფექტი წარმოდგენილია ცხრილის სახით. 2018 წელს შესაბამისი ბიზნეს მიმართულებების შედეგმა შეადგინა მოგება 130 ლარის ოდენობით.

	2019
ნეტო შემოსავალი ტოტალიზატორიდან	348
ნეტო შემოსავალი ვირტუალური თამაშობებიდან	78
ნეტო შემოსავალი კენოდან	9
ტოტალიზატორის პირდაპირი ხარჯები	(521)
ვირტუალური თამაშობების პირდაპირი ხარჯები	(154)
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან გადასახადების გადახდამდე	(240)
საგადასახადო ხარჯი	-
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან გადასახადების შემდეგ	(240)

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ელექტრო მოწყობილობები	სათამაშო აპარატები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2018	1,286	1,805	429	701	4,221
შემოსვლა	4	323	2,153	419	2,899
გასვლა	-	(89)	(217)	(42)	(348)
31 დეკემბერი 2018	1,290	2,039	2,365	1,078	6,772
შემოსვლა	2	1,189	697	29	1,917
გასვლა	(12)	(1)	(5)	(7)	(25)
31 დეკემბერი 2019	1,280	3,227	3,057	1,100	8,664

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2018	(469)	(414)	(58)	(148)	(1,089)
ცვეთის ხარჯი	(133)	(269)	(161)	(154)	(717)
გასვლა	-	-	13	9	22
31 დეკემბერი 2018	(602)	(683)	(206)	(293)	(1,784)
ცვეთის ხარჯი	(133)	(310)	(327)	(167)	(937)
გასვლა	1	-	1	1	3
31 დეკემბერი 2019	(734)	(993)	(532)	(459)	(2,718)

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018	688	1,356	2,159	785	4,988
31 დეკემბერი 2019	546	2,234	2,525	641	5,946

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა 697 ლარის ღირებულების სათამაშო აპარატები, რითაც ჩაანაცვლა იჯარით აღებული სათამაშო აპარატები. ასევე, 2019 წლის განმავლობაში შემოსული ელექტრო მოწყობილობების ძირითადი ნაწილი შეადგენს სასერვერო ინფრასტრუქტურას.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში 1,134 ლარი (2018 – 1,351 ლარი) წარმოადგენს აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული ლიცენზიების ნარჩენ ღირებულებას. დანარჩენი კი სასაქონლო ნიშანს და სხვა არამატერიალურ აქტივებს.

16. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სათადარიგო-სარემონტო მასალები	102	134
საქონელი და ნახევარფაბრიკატები	2	5
პერსონალის აღჭურვილობა	2	23
სხვა მარაგები	93	86
სულ	199	248

17. წინასწარ გაწეული ხარჯები

საქართველოს კანონით „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ განსაზღვრულია თითოეულ სამორინეს მაგიდასა და სათამაშო აპარატზე, ასევე სხვადასხვა თამაშობების მოწყობაზე, ფიქსირებული მოსაკრებლის ტარიფები. კომპანია ვალდებულია მოსაკრებელი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დადგომამდე სრულად გადაიხადოს, წინასწარ გადახდილი თანხა წარდგენილია როგორც წინასწარ გაწეული ხარჯი და აღიარდება ხარჯად დარჩენილი პერიოდის პროპორციულად.

18. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები	4,600	4,309
გადახდილი ავანსები	203	30
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	15	24
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	-	5
მოთხოვნები წილის გაყიდვიდან	-	1,400
სხვა მოთხოვნები	130	76
სულ	4,948	5,844

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	1,113	1,195
ფული ბანკში	30	17
სულ	1,143	1,212

20. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2019 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 567 ლარით და შემცირდა 1,000 ლარით. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

20. კაპიტალი (გაგრძელება)

2019 და 2018 წელს დივიდენდის გამოცხადება და გაცემა ხდებოდა პერიოდულად, 2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 2,421 ლარი, ხოლო 2018 წელს 5,450 ლარი.

21. მიღებული სესხები

ინფორმაცია მიღებულ სესხებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

გრძელვადიანი სესხი:

ბანკი	აღების თარიღი	დასრულების თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს საქართველოს ბანკი	29-03-19	25-05-29	USD	8,324	-

გრძელვადიანი სესხი მიმდინარე ნაწილი:

სს საქართველოს ბანკი	29-03-19	25-05-29	USD	984	-
----------------------	----------	----------	-----	-----	---

მოკლევადიანი სესხები:

სს ვითიზი ბანკი	20-12-18	20-04-19	GEL	-	1,000
სს ვითიზი ბანკი	22-03-16	22-03-23	USD	-	4,781
სს საქართველოს ბანკი	23-10-17	23-10-19	USD	-	780
				-	6,561
სულ მოკლევადიანი სესხები				984	6,561

უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6%-დან 11%-მდე, ხოლო ლარში მიღებულ სესხებზე შეადგენს 13%-ს.

22. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღიარდება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,826	4,746
მიღებული ავანსები	126	20
გადასახდელი ხელფასები	33	406
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	28	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	5
სულ	3,018	5,177

24. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	5

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	2,091
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	28	834

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	დაკავშირების სახე	2019	2018
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1	5

შეძენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	2019	2018
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	618	2,187
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	412	597

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	810	646

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა არსებული საუკეთესო პრაქტიკა და შემუშავდა მთელი რიგი თავდაცვითი ზომები, აღნიშნული დამცავი ზომების ფარგლებში დაწესდა მნიშვნელოვანი შეზღუდვები, მათ შორის არსებითად შეიზღუდა მთელი რიგი სამეწარმეო საქმიანობები.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის პერიოდში შეზღუდვების გამო კომპანიას არ ეძლევა საშუალება მიიღოს მომხმარებლები დარბაზებში და შესაბამისად ისევ შეჩერებულია კომპანიის ძირითადი საქმიანობა გახსნის თარიღის დათქმის გარეშე. კომპანია როგორც ბაზრის სხვა მოთამაშეები ელოდება სიტუაციის დასტაბილურებას და შეზღუდვების მოხსნას.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ს გემბლინგ ჰოლი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება ერთი პარტნიორისგან: ივანე თარხნიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარ წყაროს, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

კომპანიის შემოსავლები ტერიტორიული განაწილების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - საბურთალოს ფილიალი	21,664	23,753
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - გლდანის ფილიალი	6,610	7,827
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - ბათუმის ფილიალი	-	5,337
	28,274	36,917

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

2019 წელს კომპანიის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, ორ ფილიალში: თბილისში - საბურთალოსა და გლდანში; ბათუმში არსებულმა ფილიალმა ფუნქციონირება შეწყვიტა 2019 წლის 1 იანვრიდან.

კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი აკუმულირდება სლოტებიდან, რომელზეც მოდის მთლიანი წმინდა შემოსავლის 98%.

კომპანიის შემოსავლები ტიპების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	27,815	33,616
წმინდა შემოსავლები ტოტალიზატორიდან	348	481
წმინდა შემოსავლები ვირტუალური თამაშობებიდან	78	85
წმინდა შემოსავლები სტად პოკერიდან	24	-
წმინდა შემოსავლები კენოდან	9	57
წმინდა შემოსავლები სამორინიდან	-	2,678
სულ წმინდა შემოსავალი აზარტული თამაშებიდან	28,274	36,917

კომპანიის სტრუქტურა


კომპანიის გენერალური დირექტორი 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 5 აპრილამდე პერიოდში იყო თენგიზ ფერაძე, 2019 წლის 5 აპრილიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში კი ანასტასია თოფურიძე. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 28,274 ლარი, რაც 23,4%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:

**ძირითადი კოეფიციენტები:**

	2019	2018
სულ შემოსავალი	28,274	36,917
სულ აქტივები	14,684	15,116
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	605	613
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	2.20	0.69
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	2.14	0.67
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	107.74	122.42
მარაგების ბრუნვა (დღე)	7.98	5.86
უკუგება კაპიტალზე	1.28	1.78

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 541-დან 640-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამკირავებელი, შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ძირითადი მომსახურების გამწვევი კომპანიები არიან: შპს „ამატიკ ჯორჯია“, შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“, შპს „S ინვესტი“. კომპანიის მომხმარებლები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს ვიზიტორები.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ბიზნეს პროცესი მთლიანად რეგულირდება საქართველოს კანონით ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ და ასევე საქართველოს კანონით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ.

კომპანიაში უკანასკნელი საგადასახადო შემოწმება ჩატარდა 2019 წელს, რომელიც მოიცავდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ბაზრის მოთხოვნის და გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ლოკაციების მოძიება ახალი ფილიალების გახსნისთვის, არსებულ ფილიალებში სათამაშო აპარატების და თამაშების სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება. ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამისად ახალი თაობის სათამაშო აპარატების შემოტანაზე დროული გადაწყვეტილებების მიღება.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. კომპანიის დამფუძნებელი და მენეჯმენტი გადაწყვეტილებებს მიიღებს ანგარიშში მოცემული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. ამ ეტაპზე მენეჯმენტი ასევე აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
შემოსავალი თამაშობებიდან	28,274	36,917	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,018	5,177	შენიშვნა 2
მიღებული სესხები	9,308	6,561	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

თამაშობებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება დაკავშირებულია შემდეგ გარემოებებთან: 2019 წლის 1 იანვარს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით კომპანიამ ბათუმის ფილიალში შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა. გარდა ამისა 2019 წლის განმავლობაში გლდანისა და საბურთალოს ფილიალებში შეწყვიტა ტოტალიზატორის, ვირტუალური თამაშობებისა და კენოს ფუნქციონირება.

შენიშვნა #2:

2019 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანება, რისი დაფინანსებაც მოხდა აღებული სესხის გამოყენებით.

შენიშვნა #3:

კომპანიამ 2019 წელს სს საქართველოს ბანკისგან აიღო ახალი სესხი, რომლითაც გადაფარა სხვა სასესხო ვალდებულებები. ხოლო დანარჩენი თანხა გამოიყენა საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად. დაფარა მომწოდებლებთან არსებული ვალდებულებები და სათამაშო აპარატებსა და ელექტროსაქონელში განახორციელა კაპიტალური ინვესტიცია.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,763.5	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.1%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,267.7	1,265.2
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება. 2020 წლის 21 მარტიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეიზღუდა მთელი რიგი სამეწარმეო საქმიანობები სადაც მაღალი იყო ვირუსის გავრცელების რისკი. ასეთი საქმიანობებში მოხვდა ასევე კომპანია. მმართველობითი ანგარიშგების გამოცემის მომენტში შეზღუდვები ისევ ძალაშია და კომპანიას იძულებით გაურკვეველი ვადით აქვს შეჩერებული სამეწარმეო საქმიანობა.

კრიზისის დაწყებისთანავე მენეჯმენტმა გაანალიზა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და მოამზადა განახლებული არსებითად შემცირებული ბიუჯეტი და ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც განახლდება კრიზისის დასრულების/გახანგრძლივების შესაბამისად. კომპანიის ფულადი ნაკადების დაგეგმვა მოხდა 2020 წლის ბოლომდე იმ დაშვებით რომ მომავალი წლიდან კომპანიას ექნება საქმიანობის გაგრძელების საშუალება. კომპანიამ ბანკთან ურთიერთობის დასარეგულირებლად სესხის გადახდის გადავადებაზე გააფორმა დროებითი შეთანხმება. შეთანხმება გაგრძელდება ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის დასტაბილურებამდე.

კომპანიის მეწილე მზადყოფნას გამოთქვამს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს კომპანიას რომ შეძლოს კრიზისულ პერიოდში ლიკვიდურობის შენარჩუნება და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნამდე.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე.

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭველაშვილი
ფინანსური დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.


კაპიტალის მართვა


კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს:


ანასტასია თოფურიძე
დირექტორი


არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი